ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (თავჯდომარე)

წევრები:

ზაირა ბერიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ქუთისის სამედიცინო სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 412672157

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

■ გეგმიური

☐ არაგეგმიური

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
პრაქტიკოსი ექთანი	350	54	15
ფარმაცევტის თანაშემწე	150	34	12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N773 საფუძველზე შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში მიმდინარე წლის 5 და 6 სექტემბერს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი.

ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6,მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან. დაწესებულებას ვიზიტის ბრძანება და დღის წესრიგი წარედგინა უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია. მათ შორის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები დათვალიერდა ბიბლიოთეკა, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა. შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დათვალიერებულ იქნა პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და სხვა. შედგა ინტერვიუ პროგრამის, განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ
სტუდენტთან.

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი. შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა კოლეჯის რექტორთან და შეჯამდა ექსპერტთა მუშაობის შედეგები.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

V. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	√	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	√	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	√	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	√	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	√	
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	√	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	√	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	√	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	√	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	√	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	√	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	√	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	√	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	√	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	√	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	√	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	√	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	√	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

	სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	√	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	√	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	√	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	√	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	√	

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები ვიზიტის დროს არ გამოვლენილა.

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

1.2 ქვესტანდარტი

- კატალოგი სასურველია იყოს განახლებული და მიეთითოს შესაბამისი წელი. დაწესებულების კატალოგი, რომელიც ატვირთულია ვებ-გვერდზე დამტკიცებულია 2016 წელს. ვინაიდან კატალოგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

არაფორმალური დოკუმენტია, იგი არ საჭიროებს დამტკიცებას. ვინაიდან პროფესიული განათლება არ მოიაზრებს სემესტრებს, უმჯობესია კატალოგიდანაც გაქრეს სემესტრის ცნება.

სასურველია კატალოგი მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაწესებულების ისტორია;
- სწავლების საფასური;
- დაწესებულების მთავარი ფასეულობები:
- აკადემიური კალენდარი;
- ინფორმაცია სტუდენტების მიღების წესის შესახებ;
- პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში;
- პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა.

1.6. ქვესტანდარტი

- სასურველია რექტორის N 1/05 ბრძანებით(2019 წლის 16 იანვარი) დამტკიცებულ დოკუმენტში, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, დაზუსტდეს, კონკრეტულად გაიწეროს თუ რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობები, რამდენჯერ და როდის ივსება კითხვარები, ვინ არის პასუხისმგებელი პირი კითხვარების შევსებაზე და პასუხების დამუშავებაზე. გაიწეროს რა არის სხვადასხვა აქტივობების შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება. შემდგომ როგორ ხდება მიღებული შედეგების გამოყენება და რეკომენდაციების გაცემა;
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ გაიცეს წერილობითი რეკომენდაციები,რათა შემდგომში უფრო ადვილად მოხდეს პროცესების გააზრება და შემდგომი სამოქმედო გეგმის შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. ქვესტანდარტი

- გაიმიჯნოს სასწავლო და სასტუმრო სივრცეები. ასევე გაიმიჯნოს სველი წერტილები, რათა მინიმუმამდე იქმნას დაყვანილი უცხო პირების შეხება პროფესიულ სტუდენტებთან და დაცული იყოს მათი უსაფრთხოება.

2.3. ქვესტანდარტი

- დაწესებულების ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის განყოფილებაში სასურველია აიტვირთოს ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების კატალოგი, რაც უფრო მოქნილს და მოსახერხებელს გახდის სტუდენტისათვის დაწესებულების ბიბლიოთეკის სერვისს.

IX. სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულებაში მოქმედი ორი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პრაქტიკოსი ექთანი“ და „ფარმაცევტის თანაშემწე“. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - რექტორის მიერ 2016 წლის 4 ოქტომბრის #77 ბრძანებით. აღნიშნული პროგრამები შედგენილია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე და წარმოადგენს საგნობრივ პროგრამებს. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებისათვის გამოიყენება ტესტები, რომელიც ელექტრონული პროგრამის easyQuizzy ბაზაზეა აწყობილი და სილაბუსის შესაბამისად ხდება მათი გამოყენება. შუალედური შეფასება ძირითადად ორ ეტაპად ხორციელდება 30-30 ქულიანი ტესტით, ხოლო 40 ქულიანი დასკვნითი გამოცდა. თითოეული საგანი 100 ქულიანი სისტემით ფასდება.

პროფესიული სტუდენტები სწავლების პროცესში გადიან როგორც პასიურ, ასევე აქტიურ პრაქტიკას დაწესებულების მიერ გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტებზე. პასიური პრაქტიკა ითვალისწინებს სტუდენტების დასწრებას სამუშაო პროცესში პრაქტიკული საქმიანობის გარეშე, რომლიც სწავლის მეორე წელს ხორცილდება, ხოლო, აქტიური პრაქტიკის დროს პროფესიული სტუდენტები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სამუშაო პროცესში. იწარმოება პრაქტიკის დღიური. პრაქტიკის დღიურს ხელს აწერს პრაქტიკის ხელმძღვანელი რითაც ადასტურებს შესრულებულ სამუშაოს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შემდეგ სტუდენტებთან ხდება შევსებული დღიურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

შესაბამისად ზეპირი გასაუბრება რითაც ხდება საბოლოო შეფასება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- რექტორის 2016 წლის 4 ოქტომრის #77 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „პრაქტიკოსი ექთანი“ და „ფარმაცევტის თანაშემწე“
- მემორანდუმებით,

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზეhttp://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_2.pdf

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას ორი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („პრაქტიკოსი ექთანი“, „ფარმაცევტის თანაშემწე“) შესახებ. წარმოდგენილი კატალოგი დატკიცებულია კოლეჯის რექტორის მიერ 2016 წელს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში ამ პერიოდიდან არ შეცვლილა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ამიტომ არ მომხდარა კატალოგის განახლება. როგორც კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განაცხადა ამჟამად კოლეჯი ემზადება ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასამატებლად და გამზადებული აქვს კატალოგის პროექტი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები კატალოგთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდი - http://gtu.ge/pdf/profesiulis_katalogi_2.pdf

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- კატალოგი სასურველია იყოს განახლებული და მიეთითოს შესაბამისი წელი. დაწესებულების კატალოგი, რომელიც ატვირთულია ვებ-გვერდზე დამტკიცებულია 2016 წელს. ვინაიდან კატალოგი არაფორმალური დოკუმენტია, იგი არ საჭიროებს დამტკიცებას. ვინაიდან პროფესიული განათლება არ მოიაზრებს სემესტრებს, უმჯობესია კატალოგიდანაც გაქრეს სემესტრის ცნება.

სასურველია კატალოგი მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაწესებულების ისტორია;
- სწავლების საფასური;
- დაწესებულების მთავარი ფასეულობები:
- აკადემიური კალენდარი;
- ინფორმაცია სტუდენტების მიღების წესის შესახებ;
- პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში;
- პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ სტანდარტს-090552

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ სტანდარტს-090351

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით „პრაქტიკოსი ექთანი“ და „ფარმაცევტის თანაშემწე“,პროფესიული სტანდარტებითა და პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები დარეგულირებული ჰქონდა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2016 წლის 11 მაისის #59 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „შპს ქუთაისის სამეციდინო სკოლის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“. 2019 წლის 16 იანვარიდან ეს დოკუმენტი გაუქმდა და რეგულაცია შევიდა შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის N 1/05 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა აღნიშნული რეგულაციების პრაქტიკაში რეალიზების საკითხი შერჩევითი პრინციპით შემოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, შემოწმდა თუ რამდენად სწორად იყო სტატუსი მინიჭებული/შეწყვეტილი/შეჩერებული. როგორც გასაუბრებისას დადგინდა, შეწყვეტის, მობილობის და მიღებული განათლების აღიარების საჭიროება არ ჰქონიათ არასდროს, ხოლო სტატუსის მოპოვება დადგენილი რეგულაციების მიხედვით ხორციელდებოდა. ჩარიცხვები შემოწმდა ძველი რეგულაციის(რექტორის 2016 წლის 11 მაისის #59 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „შპს ქუთაისის სამეციდინო სკოლის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“) მიხედვით, რადგან ახალი რეგულაციის მიღების შემდეგ ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, ასევე მიღებული განათლების აღიარება არ განუხორციელებიათ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით „შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“;
- რექტორის ბრძანებით.
- პროფესიულ სტუდენტტა პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 16 იანვრის N 1/05 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 12. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი). პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს მილევად რეჟიმში და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

12.4. დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ ამ მუხლის ა) ქვეპუნქტით დადგენილი ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12.5. მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „ ელიტი“ – 2015 წლიდან 5 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 16 იანვრის N 1/05 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მემორანდუმით გაფორმებული შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „ ელიტი“

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის N 1/05 ბრძანებით(2019 წლის 16 იანვარი) შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის თანახმად სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში (შემდგომში პროგრამები) არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისათვის აუცილებელად მიაჩნიათ პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.

პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ინტერვიუერებს ურიგდებათ კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება შედეგების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის კორექტირება. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად შეფასება ხორციელდება პროგრამის მიმდინარეობისას ან პროგრამის დასრულების შემდეგ.

სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი;
- პროფესიული სტუდენტის კითხვარი;
- ადმინისტრაციის კითხვარი;
- კურსდამთავრებულის კითხვარი.

დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული თუ რა თანმიმდევრობით განხორციელდებას სხვადასხვა აქტივობები, რამდენჯერ და როდის ივსება კითხვარები, ვინ არის პასუხისმგებელი პირი კითხვარების შევსებაზე და პასუხების დამუშავებაზე. არ არის დაზუსტებულიგაიწეროს რა არის სხვადასხვა აქტივობების შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება. შემდგომ როგორ ხდება მიღებული შედეგების გამოყენება და რეკომენდაციების გაცემა.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა კითხვარები, ანალიზის დოკუმენტები. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის სამსახურთან ერთად ხარისხის სამსახურიც ესწრება საგაკვეთილო პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციებიც, თუმცა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა აღნიშნა წერილობითი ფორმით არ ხდება დოკუმენტის წარმოება და ის ხშირ შეთხვევაში ზეპირსიტყვიერ ფორმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გულისხმობს. შესაბამისად, ვერ მოხდა გაცემული რეკომენდაციების მართებულობის/შესაბამისობის დადგენა.

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის N 1/05 ბრძანებით(2019 წლის 16 იანვარი) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ არის ძალიან ზოგადი დოკუმენტი და არ არის გაწერილი სამოქმედო პროცედურები/რეგულაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის N 1/05 ბრძანებით(2019 წლის 16 იანვარი) დამტკიცებული დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- პერსონალთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- სასურველია რექტორის N 1/05 ბრძანებით(2019 წლის 16 იანვარი) დამტკიცებულ დოკუმენტში, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, დაზუსტდეს, კონკრეტულად გაიწეროს თუ რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობები, რამდენჯერ და როდის ივსება კითხვარები, ვინ არის პასუხისმგებელი პირი კითხვარების შევსებაზე და პასუხების დამუშავებაზე. გაიწეროს რა არის სხვადასხვა აქტივობების შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი/მტკიცებულება. შემდგომ როგორ ხდება მიღებული შედეგების გამოყენება და რეკომენდაციების გაცემა;

- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ გაიცეს წერილობითი რეკომენდაციები, რათა შემდგომში უფრო ადვილად მოხდეს პროცესების გააზრება და შემდგომი სამოქმედო გეგმის შედგენა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შპს " ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოსგან" იჯარის ხელშეკრულებით(2016 წლის 7 აპრილი) აღებული აქვს ფართი 3044.00 კვ.მ. საკადასტრო კოდით [redacted] თერთმეტი წლის ვადით. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში განცხადების რეგისტრაციის ნომერი [redacted] თარიღი 07/04/2016

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ქუთაისი. დვალიშვილის ქ. 13	3044.00 კვ.მ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულებით შპს " ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოსთან" 7 აპრილი 2016;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ფართი, რომელიც შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლას იჯარის ხელშეკრულებით აქვს აღებული წარმოადგენს ორსართულიან შენობას, რომელსაც აქვს შეჭრილი სართულიც. საგანმანათლებლო სივრცე ძირითადად განლაგებულია შენობის მეორე სართულზე. ერთ აუდიტორიაში მოწყობილია კომპიუტერული კლასი (20 კომპიუტერი პროფ.სტუდენტებისათვის, 1 კომპიუტერი პროფ.განათლების მასწავლებლისათვის) ასევე მოწყობილია აუდიტორია, სადაც არის იმიტირებული აფთიაქი და ფარმაციისათვის საჭირო თვალსაჩინოებები. პრაქტიკოსი ექთნებისთვის მოწყობილია აუდიტორია შესაბამისი თვალსაჩინოებებით და ინვენტარით, არის მრავალფუნქციური მულიაჟი(ადამიანის).

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შენობის პირველ სართულზე და მეზობელ შენობაში, რომელსაც ასევე იჯარის ხელშეკრულებით ფლობს კოლეჯი, თუმცა არ გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის, განთავსებულია სასტუმრო. ვიზიტის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ ტურისტები. როგორც კოლეჯის რექტორთან საუბრისას დადგინდა, დაწესებულება გეგმავს განახორციელოს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმის მიმართულებით, შესაბამისად, ადგილზე სურს უზრუნველყოს სწავლებისათვის საჭირო რეალური გარემო. მიუხედავად ამ მოსაზრებისა, ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გაიმიჯნოს სასწავლო და სასტუმრო სივრცეები. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაიმიჯნოს სველი წერტილები, რათა მინიმუმამდე იქმნას დაყვანილი უცხო პირების შეხება პროფესიულ სტუდენტებთან და დაცული იყოს მათი უსაფრთხოება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულებით შპს " ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოსთან" 7 აპრილი 2016;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- გაიმიჯნოს სასწავლო და სასტუმრო სივრცეები. ასევე გაიმიჯნოს სველი წერტილები, რათა მინიმუმამდე იქმნას დაყვანილი უცხო პირების შეხება პროფესიულ სტუდენტებთან და დაცული იყოს მათი უსაფრთხოება.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ყველა ფართი უზრუნველყოფულია ბუნებრივი განათებით, ფანჯრებით რაც იძლევა საშუალებას, გათბობა უზრუნველყოფილია ელექტროღუმელებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მთელს პერიმეტრზე უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები მოწყობილია სხვადასხვა სართულზე, ეზოში არის ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ელექტროენერგიის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე http://www.kms.edu.ge/?page_id=125 განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის რექტორის მიერ ბრძ. 1/05 16.01.2019.

ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე 6 მაგიდითა და 8 სკამით. ასევე აქ არის კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, „პრაქტიკოსი ექთანი“, „ფარმაცევტის თანაშემწე“ შერჩევით შემოწმდა სილაბუსებშიმითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში. ყველა მოთხოვნილი წიგნი ადგილზე იყო.

დაწესებულების ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის განყოფილებაში ატვირთულია რამდენიმე ელექტრონული წიგნი, ხოლო ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების კატალოგი საიტზე ხელმისაწვდომი არაა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- http://www.kms.edu.ge/?page_id=125
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- დაწესებულების ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის განყოფილებაში სასურველია აიტვირთოს ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების კატალოგი, რაც უფრო მოქნილს და მოსახერხებელს გახდის სტუდენტისათვის დაწესებულების ბიბლიოთეკის სერვისს.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით.

დაწესებულებას აქვს 27 კომპიუტერი. აქედან 4 ადმინისტრაციისთვისაა განკუთვნილი, 23 -პროფესიული სტუდენტებისათვის. 1 კომპიუტერი დგას ბიბლიოთეკაში. ასევე კოლეჯს მფლობელობაში აქვს 1 პროექტორი, ტელევიზორი, 1 ფერადი და 3 შავ-თეთრი პრინტერი. კომპიუტერებში ჩართულია ინტერნეტ ქსელში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება-ჩაბარების აქტები
- თნხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით
- სალაროს გასავლის ორდერებით
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში რექტორის #1/01 ბრძანებით (03.01.19) დამტკიცებულია „საქმისწარმოების ერთიანი წესი“. კოლეჯში საქმისწარმოება მიმდინარეობს ამ წესის შესაბამისად. გამოცემული ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების და სხვა, რეგისტრაცია ხდება შესაბამის ჟურნალებში:

შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი;

დამფუძნებელთა კრების ოქმების აღრიცხვის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა სახის ოქმების აღრიცხვის ჟურნალი;

სხვა საკითხებზე დადებული ხელშეკრულებების მომსახურება, მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალი;

ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;

ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;

გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი;

ჟურნალების გვერდები დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია ბეჭდით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- რექტორის #1/01 ბრძანებით (03.01.19) დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესი“;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

ა) დაწესებულებაში რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ 16.01.19 ბრძანება 1/05

კოლეჯის დერეფანში მოთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრი ინვენტარი და გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესები. გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები არ იყო დამუხტული, თუმცა, ვიზიტის პერიოდში მოხდა ცეცხლმაქრების გადამუხტვა და სათანადო ადგილებზე განთავსება.

ბ)დაწესებულებას აქვს საევაკუაციო დამატებითი გასასვლელი.

გ) დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. დანიშნულია შესაბამისი პირი. რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“16.01.19 ბრძანება 1/05;

დოკუმენტის თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ ექთანს მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 03.01 N 1/03 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესი“;
- ✓ რექტორის ბრძანება #1/02 (03.01.2019)დამტკიცებუია შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ „წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებული კოლეჯის რექტორის ბრძანებით 16.01.19 ბრძანება 1/05
- ✓ „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ დამტკიცებული კოლეჯის რექტორის ბრძანებით 16.01.19 ბრძანება 1/05;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება განლაგებულია ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე. სართულებს შორის დამაკავშირებელ კიბეზე დამონტაჟებულია რეგულირებადი რკინის პანდუსი, ასევე დაცვის თანამშრომელს რექტორის ბრძანებით დავალებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დახმარების გაწევა. დაწესებულების ეზოში მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული სივრცე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქუთაისის სამედიცინო სკოლის ვებ-გვერდი http://www.kms.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. იგი მოიცავს ინფორმაციას კოლეჯის საქმიანობის შესახებ. ვებ-გვერზე განთავსებულია ინფორმაცია სტრუქტურის, პერსონალის, ფაკულტეტების, აქტივობების, ღონისძიებების, ბიბლიოთეკის, საზოგადოებრივი, სპორტული აქტივობების შესახებ. ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. განთავსებულია პროფესიული პროგრამების კატალოგი.

ვებ-გვერდზე ინფორმაცია განახლებულია..

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით: http://www.kms.edu.ge
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი(2016-2021) და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის რექტორის მიერ.

სტრატეგიული გეგმაში გაწერილია: სტრატეგიული მიზნები, დაგეგმილი აქტივობა/ამოცანები, რესურსები,პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსალოდნელი რისკები. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 6 ძირითადი მიზანი, რომელებიც ჩაშლილია ამოცანებად წლების მიხედვით.

ერთწლიან გეგმაში გაწერილია 6 ძირითადი მიზანი, შესაბამისი ამოცანებით/აქტივობებით. მითითებულია განხორციელების დრო, შემსრულებლები და ინდიკატორები.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განვითარების გრძელვადიანი(2016-2021) გეგმით დამტკიცებული კოლეჯის რექტორის ბრძანებით #62 16 მაისი 2016
- ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმით დამტკიცებული კოლეჯის რექტორის ბრძანებით #1/06 28 იანვარი 2019

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქუთაისი, 2019)

კოლეჯის რექტორის ბრძანებით #1/02 (03.01.2019)დამტკიცებულია შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნულ რეგულაციას და დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 03.01 N 1/03 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესი“;
- რექტორის ბრძანება #1/02 (03.01.2019)დამტკიცებუია შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

„პრაქტიკოსი ექთანი“ 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი;

„ფარმაცევტის თანაშემწე“ 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 03.01 N 1/03 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესი“;
- რექტორის ბრძანებით #1/02 (03.01.2019)დამტკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელ წესდებით;
- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 03.01 N 1/03 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის შინაგანაწესი“, რომლის მეოთხე მუხლის თანახმად (ადმინისტრაციული და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლების სამსახურში მიღების წესი და წარსადგენი დოკუმენტები) „დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლები და პროფესიული მასწავლებლები სამსახურში მიიღებიან წერილობითი განცხადების (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში) საფუძველზე. რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს ადმინისტრაციის თანამშრომლების ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა კონკურსის მეშვეობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში კონკურსის წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე“. გასაუბრებისას დადგინდა რომ კონკურსის შემთხვევა დაწესებულებას არ ჰქონია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისად სადაც გაწერილია არსებითი პირობები.

იმ პერიოდში, როდესაც მოხდა პროგრამის განმახორციელებელი პირების აყვანა, პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი იყო რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელ წესდებაში. განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები შესწავლა. ყველა მასწავლებელი აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და პირადი საქმეებიც წარმოებული იყო დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტისას შედგა გასაუბრება რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომლებმაც აღნიშნეს , რომ გარდა სწავლებისა, ასევე ჩართული არიან იმ მოდულური პროგრამების შემუშავებაში, რომლების დამატებასაც აპირებს კოლეჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 03.01 N 1/03 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რექტორის ბრძანება #1/02 (03.01.2019)დამტკიცებულია შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის N 1/05 ბრძანებით(2019 წლის 16 იანვარი) დამტკიცებული დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“

23.09.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: